განკარგულება:**g-49. 49252693**
თარიღი:**26/09/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ

2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2025 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2025 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის **I-II** კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

2025 წლის I-II კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

2025 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მშენებარე ობიექტების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის გამოვლინდა უნებართვო მშენებლობა და სამშენებლო პირობების დარღვევა. სამართალდამრღვების მიმართ გამოყენებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით და შეადგინა 20 200 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერიოდულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების და იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან და შსს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოსთან. ქალაქ წყალტუბოში ცენტრალური ბაზრის მიმდებარედ აღკვეთილ იქნა გარე მოვაჭრეთა უკანონო ქმედება და მათთვის შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული ფართი ბაზრის ტერიტორიაზე.

ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლების ამოღების ღონისძიებებში. 2025 წლის I-II კვარტალში ადგილობრივ ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 80 984 ლარი. მათ შორის იურიდიული პირებიდან 69 839 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან - 11 145 ლარი. სამშენებლო მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 64 797 ლარი.

სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების საკუთრებაში არსებული უსახური შენობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ

რომელიმე კონკრეტული შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

წყალტუბო-ქუთაისის გზაზე მიმდინარეობდა მონიტორინგი რათა აღკვეთილი ყოფილიყო სამშენებლო მასალების დაყრა. გამოვლენილ იქნა რამოდენიმე ფაქტი მათ წინააღმდეგ გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ:

1. 68 ნებართვა იქნა გაცემული მათ შორის სოფელ ბანოჯის წყლის მშენებლობისათვის, ასევე ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე არსებულ წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციზე იქნა ნებართვა გაცემული.
2. 138 თანხმობა იქნა გაცემული მიწის გაყოფაზე.
3. 39 თანხმობა იქნა გაცემული მიწის გაერთიანებაზე.
4. 31 თანხმობა იქნა გაცემული მშენებლობის გადავადებაზე.
5. 27 ობიექტი იქნა ექსპლოატაციაში მირებული.
6. 51 ნებართვა იქნა გაცემული ხაზოვან ნაგებობებზე.
7. სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ 700-მდე წერილზე იქნა პასუხი გაცემული.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა სამსახურებთან, რაც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად მოხდეს წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრა.